



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 7 20 0000672320



07/08/2020

„უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 28 ივლისის N638970 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“:

ა) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავებისა და წარდგენილი პროექტის განხილვის წესი

1. დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების პროცესში, ცენტრი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების პროცესში ჩართულობას. ჩართულობის ფორმებია:

ა) საბჭოს წევრობა;

ბ) სამუშაო ჯგუფის წევრობა;

გ) დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე უკუკავშირის შესაძლებლობა.

2. დარგობრივი საბჭო შეიმუშავებს დარგობრივი მახასიათებლის პროექტს, ასევე განიხილავს გარე ინიციატორის ან სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილ პროექტს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში და რეკომენდაციას აძლევს ცენტრის დირექტორს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების თაობაზე.

3. პროექტის შემუშავება ხდება წინამდებარე წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკის ანალიზისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

4. გარე ინიციატორისა და სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი პროექტის განხილვისას საბჭო ადგენს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების, სწავლის სფეროების და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, საქართველოს კანონმდებლობასთან.

5. საბჭოს მიერ შემუშავებული, ასევე სამუშაო ჯგუფის ან გარე ინიციატორის მიერ წარდგენილი პროექტი ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე საჯარო კონსულტაციებისათვის. ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მინიმუმ 2 კვირის და არა უმეტეს 1 თვის ვადაში ინიშნება საჯარო განხილვა.

6. სამუშაო ჯგუფი საჯარო განხილვის შემდეგ გადამუშავებული მახასიათებლის პროექტს განსახილველად წარუდგენს დარგობრივ საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის მე-10 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს ცენტრის დირექტორს.

7. პროექტის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით, ცენტრის დირექტორი მიმართავს ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან/და იწვევს შესაბამისი დარგის გარე ექსპერტს, რომელიც არ იყო ჩართული დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე მუშაობის პროცესში.

8. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია დაამტკიცოს დარგობრივი მახასიათებელი ან განსახილველად დაუბრუნოს დარგობრივი მახასიათებლის პროექტი დარგობრივ საბჭოს.

9. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი მახასიათებლის განახლება გამოწვეულია ტერმინოლოგიური, ტექნიკური ან/და საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც არ ცვლის შინაარსს, ცენტრი უფლებამოსილია დარგობრივ მახასიათებელში შეიტანოს ცვლილება საბჭოს მოწვევის გარეშე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადად განისაზღვრება სულ მცირე 5 და არა უმეტეს 7 წელი.

11. მიღებული დოკუმენტი ქვეყნდება საჯაროდ ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.";

ბ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

1. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნას უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოები, კონკრეტული სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლისთვის სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილი ვიწრო სფეროების მიხედვით. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისთვის რელევანტური დეტალური სწავლის სფეროს წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

2. საბჭოს შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობა, საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და უფლებამოსილების ვადა.

3. საბჭოს უფლებამოსილების ვადად განისაზღვრება ვადა საბჭოს დამტკიცებიდან იმ კონკრეტული სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებამდე, რომლის მიზნითაც შეიქმნა შესაბამისი სფეროს საბჭო.

4. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წევრს. ამასთან, საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას:

ა) უპირატესობა მიენიჭება დასაქმების ბაზრის წარმომადგენლებს;

ბ) დასაქმების ბაზრის წარმომადგენლებით საბჭოს კვოტის შევსების შემდეგ, დარჩენილი რაოდენობა მოიაზრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს. თუ საბჭოს ფორმირების მიზნით, ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილია 15-ზე მეტი კანდიდატი, უპირატესობა მიენიჭება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კანდიდატს, რომელსაც სხვა დაწესებულებებთან შედარებით საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრი აქვს.

5. ცენტრის დირექტორი, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, უფლებამოსილია გაზარდოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრთა რაოდენობა.

6. დარგობრივი საბჭოს შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:

ა) აკადემიური თანამდებობის მქონე პირები;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები;

გ) დარგობრივი სამინისტროს/სამინისტროების წარმომადგენლები;

დ) დარგობრივი ასოციაციის წევრები;

ე) დამსაქმებელთა გაერთიანების წარმომადგენლები/დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ვ) რეგულირებადი პროფესიების მარეგულირებელი უწყების/უწყებების წარმომადგენლები;

7. ცენტრის დირექტორის მიერ დარგობრივი საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კვლევის ან/და საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება;

ბ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ან/და დარგის უახლესი ტენდენციების განვითარებაში მონაწილეობის დამადასტურებელი აქტივობა (მაგალითად, პუბლიკაციები, გამოგონებები და სხვ.);

გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) კანდიდატი შესაძლებელია შეირჩეს პროფესიული ნიშნითაც. პირის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით ან/და სპეციალური მომზადებით;

8. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ზედიზედ 3 სხდომაზე დაუსწრებლობა;

ბ) ცენტრის დირექტორთან ცენტრის წარმომადგენლის ან საბჭოს წევრის შუამდგომლობა საზოგადოებაში ზოგადად მიღებული ეთიკის პრინციპების და წესების დაუცველობის თაობაზე.";

გ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღება

1. დარგობრივი საბჭოს/დარგობრივი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრი.

2. საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. ამასთან, საბჭოს სხდომა შესაძლებელია განხორციელდეს სრულად დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. საბჭოს სხდომები ღიაა. საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შესაძლებელია დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა.

5. სხდომას იწვევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, დამსწრე/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობით საბჭოს თავმჯდომარედ განისაზღვრება საბჭოს წევრებიდან ერთ-ერთი.
6. საბჭოს მდივანი ადგენს სხდომის ოქმს. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
7. საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს.
8. საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - ა) დადებითი რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცების თაობაზე;
 - ბ) უარყოფითი რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცების თაობაზე;
 - გ) რეკომენდაცია დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის ვადის გაგრძელების თაობაზე;
 - დ) რეკომენდაცია დარგობრივ მახასიათებელში ცვლილების შეტანის თაობაზე;
 - ე) რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლის გაუქმების შესახებ.
9. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით და გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა/სხდომაზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს. ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც.
10. საბჭოს გადაწყვეტილება აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
11. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, სხდომის მდივანი.
12. საბჭოს სხდომის ოქმს დაერთვება განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
13. საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება სხდომის ჩატარების გარეშე. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მასზე წერილობით თანხმობას გამოხატავს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ასეთი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს თავმჯდომარე და თან ურთავს წერილობით თანხმობებს."

2. ამ ბრძანების გამოქვეყნებამდე შექმნილმა და ამავდროულად მოქმედმა უმაღლესი განათლების დარგობრივმა საბჭოებმა საქმიანობა განახორციელონ იმავე შემადგენლობით. ამასთან, აღნიშნული უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დამტკიცების თაობაზე არსებული ცენტრის დირექტორის ბრძანებები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ ბრძანების შესაბამის ნორმებთან.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ერაძე

